# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

12-13 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იყო:

1. სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლა კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისთვის;

2. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმა;

3. სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთსულოვნად მიიღო დადგენილება „სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკისა და კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებისთვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლის შესახებ“.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1967 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი“ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. ფ. გარბუზოვის მოხსენება — „სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი“.

ამ საკითხებზე ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა ამხ. მ. ს. სოლომენცევი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა თავისი მუშაობა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 242 (3219) 15 1966 წ. დეკემბერი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი




როგორც ვაუწყებოდით, თბილისში ამას წინათ გაიმართა ფრენბურთელთა ამხანაგური შეხვედრები საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტისა და ქ. ორჯონიკიძის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდებს შორის.

• • •

სურათზე: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. გენგიურისა.

## დარჩა ბოლო ზღუდე

კიევი, 14 დეკემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის XVIII ტურში საერთო ინტერესს იწვევდა ალექსანდრიას, კისლოვას, ზატულოვსკაიას, კოზლოვსკაიასა და რუბცოვას შეხვედრები.

უაღრესად მწვავედ მიმდინარეობდა ბოიახჩიან — ალექსანდრიას პარტია. ძველინდური დაცვის გათამაშებით ერევნელმა მოჭადრაკემ აქტიური პოზიცია მიიღო და მეტოქის ლაზიერის ფრთას შეუტია. მაგრამ შემდგომში ალექსანდრიამ მოპირდაპირე მხარეს მძლავრი კონტრიერიში წამოიწყო და ხელთ იგდო ინიციატივა. მალე ნანაშ თვალი მოჰკრა ლამაზ კომბინაციას და მისი განხორციელებით მსუბუქი ფიგურა მოიგო. ამ დროს ორივე მეტოქე ცაიტნოტში იმყოფებოდა, მაგრამ თბილისელმა შეძლო უვნებლად ფონს გასვლა, რის შემდეგ ბოიახჩიანმა დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

კისლოვა თავდაუზოგავად უტევდა არჩაკოვას მეფის პოზიციას, მაგრამ მინსკელი მოჭადრაკე ფხიზლად თამაშობდა. მომძლავრებული მუქარები მან მოიგერია ლაზიერების დაბოლოებაში თამაშის გადაყვანით, თუმცა მას ეს პაიკის ფასად დაუჯდა. პარტია გადაიდო რთულ პოზიციაში. სპეციალისტების აზრით, აქ ყაიმია მოსალოდნელი.

დაუმთავრებელი დარჩა, აგრეთვე, იდელჩიკ — ზატულოვსკაიას შეხვედრა. ფიქრობენ, აქაც ყაიმი იქნება.

წინ წაიწიეს კოზლოვსკაიამ და რუბცოვამ, რომლებმაც დაამარცხეს კაკაბაძე და კახაბრიშვილი.

სხვა შეხვედრების შედეგებია: ჩაიკოვსკაია — სკეგინა 0,5:0,5, ზიკოვა — მუსლიმოვა 1:0, ტიხომიროვა — ვოიციკი 0:1, რანიკუ — მოროზოვა 1:0.

ამრიგად, დღეისთვის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია ნ. ალექსანდრია — 13 ქულა. მას კვალში მისდევენ ვ. კოზლოვსკაია — 12,5, ა. კისლოვა — 12 (1), ტ. ზატულოვსკაია — 11,5 (1) და ე. რუბცოვა — 11.

15 დეკემბერს, როგორც ცნობილია, შედგება გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 16-ში — დასკვნითი, XIX ტური. ამ დღეს ალექსანდრია შეხვდება რანიკუს, კისლოვა — მედიანიკოვას, კოზლოვსკაია — ჩაიკოვსკაიას, ზატულოვსკაია — კახაბრიშვილს, რუბცოვა — ბოიახჩიანს.

ჭადრაკი

## მოჭადრაკეთა დიდი თავყრილობა თბილისში

ჩვენი დედაქალაქი გულდაგულ ემზადება სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 34-ე ჩემპიონატისთვის, რომლის სტარტი ჭადრაკის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა 28 დეკემბრისთვის გადაიტანა.

ჩემპიონატის „ბრძოლის ველი“ რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში იქნება. აქვე იმუშავებს პრეს-ცენტრი ჟურნალ-გაზეთების, რადიოს, ტელევიზიისა და დეპეშათა სააგენტოების კორესპონდენტებისთვის.

გამოვა სპეციალური ბიულეტენის 15 ნომერი, რომლებშიც გამოქვეყნდება ყველა გათამაშებული პარტია დიდოსტატთა და ოსტატთა კომენტარებით, პაექრობის პერიპეტიები და ბევრი სხვა საინტერესო მასალა.

შეჯიბრების დღეებში გამოჩენილი მოჭადრაკეები და მათი მწვრთნელები შეხვდებიან საწარმო-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების, სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების ჭადრაკის მოყვარულთ, წაუკითხავენ მათ ლექციებს, გაუმართავენ ერთდროული თამაშის სეანსებს.

საბჭოთა მოჭადრაკეების წლევანდელი თავყრილობა თბილისში უდიდეს ინტერესს იწვევს, ვინაიდან ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელთან ერთად მან მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის მონაწილენიც უნდა გამოავლინოს. ამ მიზნით ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს თითქმის ყველა გამოჩენილი დიდოსტატი და ოთხ ნახევარფინალში გამარჯვებული მოჭადრაკეები.

აი, ისინიც: მსოფლიო ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (მოსკოვი), დიდოსტატები ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, ვ. ლიბერზონი (სამივე — მოსკოვი), ლ. შტეინი (ლვოვი), ე. გელერი (ოდესა), ვ. კორჩნოი, მ. ტაიმანოვი (ორივე — ლენინგრადი), ლ. პოლუგაევსკი (კუიბიშევი), ნ. კროგიუსი (სარატოვი), ა. სუეტინი (მინსკი), რ. ხოლმოვი (სოჭი), საერთაშორისო ოსტატები ა. გიპსლისი (რიგა), ა. ლეინი (ლენინგრადის ოლქი), ე. გუფელდი (კიევი), ი. ნეი (ტალინი), ვ. ოსნოსი (ლენინგრადი), ოსტატები ვ. დოროშკევიჩი (გროზნო), ი. ნიკოლაევსკი (კიევი) და ვ. სავონი (ხარკოვი).

ტურნირში მოსალოდნელია საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ოსტატ ბ. გურგენიძის მონაწილეობაც.

თამაშზე უარი განაცხადეს მ. ბოტვინიკმა, პ. კერესმა, ბ. სპასკიმ და მ. ტალმა, რომლებიც ჩემპიონატში პერსონალურად იყვნენ მიწვეული. ვეტერანმა დიდოსტატებმა საერთოდ აიღეს ხელი მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლაზე, ხოლო ბ. სპასკიმ და მ. ტალმა დასვენება არჩიეს, — ისინი ისედაც არიან დაშვებული პრეტენდენტთა მატჩებში.

მომავალი ჩემპიონატი ჭადრაკის თაყვანისმცემელთა ჭეშმარიტი დღესასწაული იქნება.

## თოლია... რეკორდის წინაამდეგ

ლონდონი, 14 დეკემბერი. დაუცხრომელი ინგლისელი დონალდ კემპბელი ძრავიანი ნავებისთვის მსოფლიო რეკორდის დამყარებასთან ახლოს იდგა, როცა მისი რეაქტიული „ცისფერი ჩიტი“ დაეჯახა... ჩიტს. დიახ, ჩვეულებრივ თოლიას, რომელიც მრავლადაა ინგლისის ჩრდილოეთში მდებარე ტბა კონისტონზე. სწორედ ეს ადგილი აირჩია კემპბელმა რეკორდზე საიერიშოდ. და აი, თოლიასთან დაჯახება მას რეკორდის ფასად დაუჯდა და შეიძლება სიცოცხლის ფასადაც დაჯდომოდა.

როცა „ცისფერმა ჩიტმა“ საათში 402,336 კმ სისწრაფე განავითარა და განაგრძობდა სიჩქარის მატებას, შემხვედრი თოლია ისეთი ძალით დაეჯახა ნავის ტივტივას, რომ კემპბელის ჯიხურის მინა უმალვე სისხლის შხეფებითა და ბუმბულით დაიფარა. დაბრმავებული მრბოლელი იძულებული შეიქნა საჩქაროდ ჩაექრო სისწრაფე. რეკორდი კვლავ „გადარჩა“, მაგრამ კემპბელს გადაწყვეტილი აქვს ისევ შეუტიოს მას, როგორც კი ტივტივას შეაკეთებს.

## გეგმა და შესრულება

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების შესახებ (15 დეკემბრისთვის)

| საზოგადოებები და უწყებები | მშთ ნიშნოსნები | | | II, III და ჭაბუკთა თანრიგი | | | I თანრიგი და ოსტატობის კანდიდატ. | | | სპორტის ოსტატები და საერთაშორისო ოსტატები | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | შესრულება | პროც. | გეგმა | შესრულება | პროც. | გეგმა | შესრულება | პროც. | გეგმა | შესრულება | პროც. |
| არმიელთა სპორტკლუბი (კლუბის უფროსი ა. კუხიანიძე) | — | — | — | — | — | — | — | — | — | 26 | 8 | 30,8 |
| „ბურევესტნიკი“ (თავმჯდომარე გ. ჭილაია) | — | 782 | — | 4 000 | 3.449 | 86,2 | 400 | 385 | 96,2 | 47 | 47 | 100 |
| „განთიადი“ (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) | 13 641 | 13.711 | 100,5 | 14 500 | 15.010 | 103,5 | 267 | 287 | 107,5 | 21 | 40 | 190,5 |
| განათლების სამინისტრო (განყოფილების გამგე ი. ბაქრაძე-შვილი) | — | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 | 100 |
| „დინამო“ (თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე) | — | — | — | 7.500 | 8.355 | 111,3 | 300 | 388 | 129,3 | 25 | 43 | 122,0 |
| „ვოდნიკი“ (თავმჯდომარე ო. ბუაძე) | 400 | 424 | 106 | 500 | 539 | 107,8 | 10 | 20 | 200 | 1 | — | — |
| „კოლმეურნე“ (თავმჯდომარე ვ. ქელეხსაშვილი) | 26 000 | 26.538 | 102 | 15.000 | 15.884 | 105,9 | 200 | 292 | 146 | 21 | 21 | 100 |
| „ლოკომოტივი“ (თავმჯდომარე თ. კეჟაძე) | 1 800 | 1 500 | 83,3 | 3.500 | 3 136 | 89,6 | 100 | 136 | 136 | 10 | 12 | 120 |
| „სპარტაკი“ (თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი) | 11.645 | 12 006 | 103,1 | 13 500 | 13.622 | 100,9 | 220 | 249 | 113,2 | 21 | 18 | 85,7 |
| „შრომითი რეზერვები“ (თავმჯდომარის მოადგილე გ. კირვალიძე) | 6 100 | 6.916 | 113,4 | 10 000 | 12.155 | 121,5 | 100 | 120 | 120 | 2 | 4 | 200 |
| სულ რესპუბლიკაში | 59.586 | 61.877 | 103,8 | 68.500 | 72.150 | 105,3 | 1.597 | 1.877 | 117,5 | 187 | 196 | 104,8 |

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

# რაც წინსვლას ამუხრუჭებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებაში „ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" ნათქვამია: „... პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ მეტი ყურადღება დაუთმონ მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას სოფლად, უზრუნველყონ ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და ორგანიზატორების მომზადება, განავითარონ სოფლის ახალგაზრდობისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი სახეობათა სპორტი, რეგულარულად მოაწყონ შეჯიბრებები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და რაიონულ ცენტრებში.... ადგილობრივი ორგანოები მოვალენი არიან გააფართოვონ კომპლექსური სპორტული მოედნების, სტადიონებისა და სხვა სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში. პროფკავშირების, ალმასკომების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციების ორგანიზაციების ასიგნობათა გათვალისწინებით... სასოფლო კლუბები, როგორც წესი, ისე უნდა აშენდეს, რომ ჰქონდეს სპორტული დარბაზები და მოედნები".

ვნახოთ, როგორაა ამ მხრივ საქმე მარნეულის რაიონში, როგორ ზრუნავენ ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებისთვის.

## ასე ცხოვრობენ

მარნეულში დაძაბული დღეებია — ქურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მომზადების წლიური გეგმა გადაჭარბებით გაანაღდეს და ახლა თამბაქოს შეუტიეს. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეების: სადახლოს თამბაქოს საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხალილოვის, კაჩაგანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მებაღე-აგრონომის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კ. მიკიევას, სადახლოს მარაარილოს მაღაროთა სამმართველოს ბრიგადირის ზ. თაქთაქიშვილისა და სხვათა გვერდით უნარიანად შრომობენ ფიზკულტურელებიც — მარნეულელი ფეხბურთელები რ. იბრაგიმოვი და ა. მუსტაფაევი, მოჭიდავეები კ. მუსაევი, კ. იბრაგიმოვი და სხვანი. მაგრამ ეს, ცხადია, მარნეულის სპორტკავშირის, სპორტსაზოგადოებათა რაიონული საბჭოების, ფიზკულტურის კოლექტივების მუშაობის მთლიანი სურათი არ გახლავთ.

მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში მარნეულის სპორტკავშირს (თავმჯდომარე შ. გოგინავა) „კოლმეურნეს", „სპარტაკის", „განთიადის" საბჭოებიც ეხმარებიან, მაგრამ რაიონის 85 ათასზე მეტი მცხოვრებიდან სპორტში მხოლოდ 9068 კაცია ჩაბმული. წლეულს მარნეულელებმა ცუდად როდი იმუშავეს: გეგმით გათვალისწინებული 1 პირველთანრიგოსნის ნაცვლად 12 მოამზადეს. ასევე გადააჭარბეს მეორე და მესამეთანრიგოსანთა აღზრდის გეგმასაც. დიდ შეჯიბრებებში წლეულს პირველად ისახელეს თავი ფრენბურთელებმა მ. რაგიმოვმა, პ. აბასოვმა (ორივე — მარნეული), ა. მიკიევმა, კ. ისმაილოვმა (ორივე — კაჩაგანი), მარნეულელმა მოჭიდავეებმა კ. იბრაგიმოვმა, პ. აშილოვმა და მიგოლახელმა კოლმეურნემ მ. მუსაევმა და სხვებმა, რომელთა სახითაც რაიონს პირველთანრიგოსნები შეემატა.

სპორტკავშირს არც რაიონული ტურნირების გამართვა დავიწყებია. რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც მონაწილეობდნენ, მაგრამ აქ მოასპარეზეთა რიცხვი ზოგჯერ თითზე ჩამოსათვლელი გახლდათ. მაგალითად, მძლეოსნური კროსის სტარტზე გამოვიდა... 20 ათლეტი. საქმე ის არის, რომ მარნეულში „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის სათანადო პირობები არ არის. სტადიონზე სარბენი ბილიკები, სიგრძესა და სიმაღლეზე სახტომი ორმოები, სატყორცნი სექტორები უპატრონოდაა მიტოვებული.

ფეხბურთის მინდორი უვარგისია, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები არა აქვთ, მინებჩამტვრეულ გასახდელ ოთახებში უწესრიგობა და უსუფთაობაა. სტადიონს არც მესერი უვარგა და მინდვრის ყველაზე ხშირი სტუმრები... ცხვრები არიან (იხ. სურათი).

მშრომელთა დეპუტატების რაიაღმასკომის თავმჯდომარეს მ. კულიევს მოვაგონეთ, რომ მათ სტადიონის რეკონსტრუქციისთვის გამოყოფილი სახსრებიდან მნიშვნელოვანი თანხა ხარჯთაღრიცხვისა და სამუშაო გეგმების შედგენაზე დახარჯეს. მან სიტყვაზე დაგვიჭირა და მაშინვე მოგვახალა: ჰოდა, ფული აღარა გვაქვს, სტადიონიც ამიტომაა მაგ დღეშიო!

უცნაური განცხადებაა!

— ლაფერს გავაკეთებთ, მინდორს მოვასწორებთ, სტადიონს შემოვღობავთ, არც მაყურებელს დავტოვებთ გულნაკლულს. წლეულს 1480 მანეთის ინვენტარი და ფორმები შევიძინეთ, გაისად კი მეურნეობის ფონდიდან 10 ათას მანეთს გადავდებთ. კრივის სექციასაც ეშველება, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ა. ჰასანოვმა და დასძინა: — მაგრამ ნუ იფიქრებენ ჩვენი ფიზკულტურელები, რომ სექციებშიც მე ვიმეცადინებ და შეჯიბრებებშიც მე გამოვალ; მეტი მონდომება უნდა გამოიჩინონ.

მართლაც, კაჩაგანის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდებს, განსაკუთრებით, კომკავშირელებსა და აქტიურ სპორტსმენებს, ფიზკულტურის მეთოდისტს თ. მასიმოვს მეტი გარჯა მართებთ. სხვა რომ არა იყოს, სამარცხვინოა, რომ სპორტში აქ მომუშავეთა მხოლოდ 10 პროცენტია ჩაბმული.



მარნეულელებს არც სპორტდარბაზი აქვთ. რაიონის ხელმძღვანელობის გულგრილობაზე ისიც მეტყველებს, რომ სპორტკავშირი მთელი 8 თვე ხან სად იყო შეკედლებული, ხან სად...

## მდიდარი მეურნეობის ღატაკი ფიზკულტურელები

კაჩაგანის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესია სსრ კავშირში. აქ 2000-ზე მეტი კაცი შრომობს: ცხადია, კომკავშირელიც ბევრი (300-მდე) ჰყავთ. ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ასეთ კოლექტივში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობაც მაღალ დონეზე უნდა იყოს.

სინამდვილეში?

სასიქადულოც აქვთ და სავალალოც. კომორგმა ვ. ველიევმა სწორედ საქებრით დაიწყო, გვითხრა, რომ მეურნეობის ფეხბურთელებმა ახლახან შულავერელებს მოუგეს და კონსტიტუციის სახელობის რაიონული თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდნენ, რომ ფრენბურთელები რაიონის ჩემპიონები არიან, რომ სექციებიც აქვთ. სავალალო კი ისაა, რომ ფეხბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, შაშისა და კრივის სექციებში გაერთიანებულია სულ... 58 კაცი. ანგარიშში კი, „კოლმეურნეს" რაისაბჭოს რომ წარუდგინეს, ჩაუწერიათ 300 ფიზკულტურელი გვყავსო. ასეც რომ იყოს, საკმარისია? მეურნეობის ჩემპიონატები იშვიათად ტარდება. მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, განსაკუთრებით, საწარმოო ტანვარჯიში არავის ახსოვს. ცოტა ჰყავთ ფიზკულტურელი ქალი.

არც ბაზებით არიან განებივრებული. მოკრივეთა მწვრთნელმა, ხარატმა ვ. კარაევმა გულისტკივილით გვითხრა: სექციაში მხოლოდ 7 სპორტსმენია, სურვილი კი მეტს აქვს, მაგრამ ვერ ვაკმაყოფილებთ იმიტომ, რომ ჩვენს „დარბაზში" რინგიც კი არ იმართებაო (!).

შარშან აგებული სტადიონი ხომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ეკალბარდით სავსე, ფეხბურთის უსწორმასწორო მინდორი ავტომანქანებისა და ტრაქტორების სანავარდოდ ქცეულა. მძლეოსნური სექტორებისა და სარბენი ბილიკების მოწყობა არავის მოგონებია.

— გეთანხმებით, რომ ჩვენთან სპორტი სავალალო მდგომარეობაშია. ეს საკითხი მხედველობიდან გამომრჩა, კომკავშირელთა იმედით ვიყავი, ისინი კი სათანადო დონეზე არ აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, სარბენი ბილიკებიც მოსაწყობია და სექტორებიც, ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნებიც, ყველაფერს გავაკეთებთ...

## მომჩივანია დამნაშავე, თუ?..

— მეც ეგ მაწუხებს ყველაზე მეტად. შაუმიანელები სპორტული ბაზებით მაინცდამაინც მდიდარი არ არიან, ამიტომ გადავწყვიტეთ პიონერთა სახლის აგება, რომელსაც სპორტდარბაზიც ექნებოდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მარნეულის სამშენებლო-შემკეთებელმა კანტორამ საქმეს თავი ვერ მოაბა, მუშაობა დაიწყო და მიატოვა. სამეურნეო წელი ილევა და 20 ათასი მანეთი აუთვისებელია, — შემოგვჩივლა შაუმიანის სადაბო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ყარდაშიანმა.

მარნეულში რომ დავბრუნდით, სამშენებლო-შემკეთებელი კანტორის უფროსს ა. ზაქარიაძეს ვეწვიეთ და ყარდაშიანის საყვედურზე ვუთხარით.

— საოცარია! პიონერთა სახლის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ჯერ დასამუშავებელი და დასამტკიცებელია. საძირკვლის ზომებიც კი არაა მინიშნებული. პროექტი სანიტარულ, სახანძრო და სხვა ორგანიზაციებისთვის არ გაუცნიათ, არ შეუთანხმებიათ. ეს მაშინვე ვაცნობეთ სადაბო საბჭოს ხელმძღვანელობას და მშენებლობაც შევწყვიტეთ, — გვითხრა ზაქარიაძემ.

ჩვენ არ შევუდგებით იმის დადგენას, რომელია მართალი, მომჩივანი თუ მოპასუხე, მხოლოდ ვიტყვით, რომ შაუმიანელი პიონერებისა და სპორტსმენების წინაშე ისინი თანაბრად არიან დამნაშავენი.

... შაუმიანის სადაბო საბჭოდან მევენახეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობას ვეწვიეთ. იგი ფეხს ახლა იდგამს — სახლები ახლა შენდება, გზები ახლა გაჰყავთ, საგაისოდ სტადიონიც დაუგეგმიათ, სპორტდარბაზიც ექნებათ, მაგრამ ეს გაისად, ახლა კი...

აქვთ ფეხბურთის მინდორი, ჰყავთ გუნდი; წლეულს 530 მანეთის სპორტული ფორმა შეიძინეს, ძალოსნობის სექციაც მუშაობს. ფეხბურთელები რ. ზარგარიანი და ვ. ერიხინი რაიონულ ნაკრებშიც თამაშობენ, მაგრამ არ ჩანს მთავარი — მასობრიობა. მაგალითად, სექციებში მხოლოდ 67 ფიზკულტურელია, ძალოსნებს მუდმივი ბინა არ გააჩნიათ, არ მუშაობს საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფი, საწარმოო ტანვარჯიში კი მარტო სამმართველოში დანერგეს და იქაც კვირაში ორჯერ (!) ტარდება.

აქაური ფიზკულტურელები ჩივიან, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის თუნდაც მარტივი ტიპის სექტორები არა გვაქვსო. უყვართ ველოსპორტი, მაგიდის ჩოგბურთი, ინვენტარი კი სადაა?!

## დარბაზები, ინვენტარი, მოსწავლეები

რაიონში მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის სურათი სრული არ იქნება, თუ სკოლებშიც არ შევიხედეთ. ბავშვებთან მუშაობის ძირითად ბაზას სპორტსკოლა (დირექტორი ვ. გაბულოვი) წარმოადგენს. აქ ფეხბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და მძლეოსნობის სექციებში 125 ბავშვი მეცადინეობს. ცოტაა, მაგრამ ნორმალური მუშაობის პირობები ამ ცოტასაც არა აქვს. ჯგუფები ნათხოვარ ბაზებზე მეცადინეობენ. ცხადია, ნაყოფიც ამას შესაფერისი მოსდევს — აქაურები უხეიროდ გამოვიდნენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. სპორტსკოლას არც ინვენტარი გააჩნია საკმაო რაოდენობით. ამ მხრივ ვერც რვაწლიანი და საშუალო სკოლები დაიქადნიან.

გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს: კაჩაგანის აზერბაიჯანულ საშუალო სკოლაში ფიზაღზრდის გაკვეთილი ეზოში ტარდებოდა. ბავშვებს ტანსაცმელი აქაიქ მიეყარათ და ფრენბურთი გაეჩაღებინათ. თურმე სკოლას სპორტდარბაზი კი არა, გასახდელიც არ ჰქონია. პატარა ოთახში ძლივს თავსდებიან მასწავლებლები და... ინვენტარი.

ფიზაღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ს. ჰუსაინოვმა სინანულით გვითხრა:

— ზამთარში გვიჭირს. ცუდ ამინდში მოსწავლეებს საკლასო ოთახში ვტოვებთ და ვცდილობთ მსაჯობაზე საუბრით გავართოთ, მაგრამ ეს საუბრები ბავშვებს ნაკლებად იზიდავს. ფიზაღზრდის გაკვეთილი ზღაპრების მოსათხრობად როდია შემოღებული. სექციები, რომლებშიც ასობით ბავშვია ჩაბმული, გაზაფხულამდე უმოქმედობენ.

ახლა სკოლის დირექტორს ა. ალახვერდიანს მოვუსმინოთ:

— სად არ ვიყავი, ვის არ ვთხოვე სკოლისთვის სპორტული დარბაზის მიშენების ნებართვა, მაგრამ, როგორც ხედავთ, მიზანს ვერ მივაღწიე. იქნებ პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების მერე მაინც გვეშველოს.

მარნეულის მე-2 სომხურ სკოლაში სპორტდარბაზის მოვალეობას სარდაფი (!) ასრულებს. მოედნები კი არა აქვთ. ბაზა არც კიზილ-აჯლოს სკოლას გააჩნია. სამარცხვინოა, რომ ამ სკოლის დირექციამ ფიზკულტურული მუშაობისთვის 50 მანეთი ძლივს გაიმეტა. ანალოგიური სურათი მრავლად შეგვხვდა. რაიონის 86 სკოლიდან სპორტდარბაზი მარტო ოთხს აქვს. ფიზაღზრდის მასწავლებელთა უმეტესობა სპეციალისტია, მაგრამ მარტო დიპლომით აბა, რას გახდები!

საქმეს ისიც ამუხრუჭებს, რომ რაიონის მაღაზიები სპორტინვენტარით სათანადოდ არ მარაგდება.

## ჩვენ გვჯერა მათი

მარნეულის რაიონის ფიზკულტურელთა მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე იმიტომ შევჩერდით, რომ გვინდა რაიონის ხელმძღვანელობამ იზრუნოს ამ ხარვეზების გამოსწორებისთვის და ამით ხელი შეუწყოს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის მტკიცე ბაზის შექმნას. თორემ აბა, რას ჰგავს თუნდაც ის, რომ რაიონული ცენტრის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ვ. ჯაშს პრინციპულად არ სურს შტატში ჩარიცხოს ფიზკულტურის ინსტრუქტორი (აქ ათასზე მეტი კაცი მუშაობს). საინტერესოა, რატომ უგულებელყოფს ჯაში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებას, რომელიც საბჭოთა მეურნეობებსა და შესაბამის ტრესტებს ავალებს შექმნან ფიზკულტურის ინსტრუქტორის საშტატო ერთეული.

რაიონის ხელმძღვანელობა დაგვპირდა: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარებისთვის ვიბრძოლებთო. ეს დადგენილება ხომ სოფლის კოლექტივებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, რაიონულ ცენტრებში სტადიონების, დარბაზების, აუზების აგების ნებასაც იძლევა და მათთვის სახსრების გამონახვის საშუალებებსაც მიგვასწავლისო.

გვჯერა, მარნეულელები კარგად გამოიყენებენ ამ უფლებებს და რესპუბლიკის მოწინავე ფიზკულტურელთა რიგებში ჩადგებიან.

ვ. ბებიაშვილი,
(ჩვენი სპეც. კორ.).

მარნეულის რაიონი.



ახალგაზრდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშე, სპორტის ოსტატი ი. ნინოშვილი კარგადაა ცნობილი სპორტის მოყვარულთათვის. მოკლე დროში მან დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, სრულყოფილად დაეუფლა ტანვარჯიშის რთულ ხელოვნებას და შედეგმაც არ დააყოვნა: რესპუბლიკურ ჩემპიონატში უძლიერესის სახელი მოიპოვა ბჯენით ხტომებსა და რგოლებზე ვარჯიშში.

სურათზე: ი. ნინოშვილი თავის მწვრთნელ ჰ. ბურჯანაძესთან ერთად.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

## გამარჯვებით ეუფლებიან

ზუგდიდის ბავშვთა სპორტულ სკოლაში (დირექტორი გ. ლოგუა) 350 მოსწავლე ეუფლება ტანვარჯიშს, მძლეოსნობას, ველოსპორტს, ფეხბურთს, ხელბურთსა და ჭადრაკს.

მაღალკვალიფიციური სპორტსმენების აღზრდასთან ერთად, სპორტსკოლა მიზნად ისახავს მეთოდური დახმარება გაუწიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს.

მაღალ დონეზე ჩატარდა ზუგდიდის რაიონის მოსწავლეთა XVII ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში 10 სახეობა შედიოდა. ასპარეზობაში 400-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. განსაკუთრებით ისახელეს თავი ქალაქის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-5, ცაიშისა და ჯიხაშკარის საშუალო სკოლებმა.

სასიხარულოა, რომ 6 ზუგდიდელი შეყვანილია საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში. ესენი არიან: ტანმოვარჯიშეები ა. ჩქოტუა და ნ. გარდავა, ველოსიპედისტები გ. საჯაია და გ. ქობალია, მძლეოსანი ს. ჩიქობავა და მოჭადრაკე ა. ბაძაღუა.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული ჭიდაობა მამაცთა, მოქნილთა, ღონიერთა და მიზანმსწრაფთა სპორტია. საჭიდაო წრესა თუ ხალიჩაზე გაჩაღებული ნამდვილი შერკინების ცქერას არაფერი ჯობს.

აი, დახედეთ ამ სურათებს... მათზე აღბეჭდილია თბილისში ფალავანთა ამახწინანდელი რესპუბლიკური შეჯიბრების მომენტები.

ფოტო ი. იუნაევისა.

# ძველი სპორტის ძიებაში

მასალები შეკრიბა და მოგვაწოდა ვ. სიდამონიძემ.

● „რაც დღე მიდის ძველებური დროს გატარება სულ უფრო და უფრო სუსტდება; სადღაა ახლა წინანდელი ჯირითი, ყაბახი, ნიშანში თოფით სროლა, ბურთაობა და სხვ. ვარჯიშობა?

მაშინ, როდესაც განათლებულ ევროპაში საგანგებოდ აარსებენ სხვადასხვა საზოგადოებას სხეულის სავარჯიშოდ; ჰსურთ აღადგინონ ძველ ბერძენთა ოლიმპის თამაშობანი, ჩვენ, რომელთაც ყოველი ესე სახესხებად და გადმოსაღებად არა გვქონდა, სამწუხაროდ, ყველა ამას ვივიწყებთ და სამაგიეროდ ზნესა და ჩვეულებას ვითვისებთ, რომელიც არც სულს არგია და არც ხორცს.

დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ მოსპობილა მთლად ჯირითი და ბურთაობა, თუმცა დრომ თავისი ხელი იქაც შესამჩნევად დაატყო.

ევროპაში მხოლოდ ერთს ადგილს, შოტლანდიაში, იციან ბურთის თამაში სწორედ ისე, როგორც იმერეთში; ინგლისელებს დიდათ უყვართ ეს თამაში. საზოგადოდ, ინგლისელი განსხვავებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკურ ვარჯიშობას და ინგლისის სასწავლებლების პროგრამაში ფიზიკურს ვარჯიშობას უპირველესი ადგილი უჭირავს.

ძვირად შეხვდებით ინგლისელს, რომ ცხენოსნობა, მენავეობა, ცურვა, ბოქსი, ბურთაობა, ნადირობა და სხვა ამგვარი ვარჯიშობა არ იცოდეს. ამიტომ ინგლისელი კაცი დიდად განსხვავებულია სხვაზედ, როგორც ჯანმრთელობით, ისე სულის სიფხიზლითაც.

სრულიად არ გვესმის რად უნდა დავივიწყოთ ეს ჩინებული — თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური ჩვენი მამაპაპის დროს გატარების წესი, რომელსაც მრავალი სასიკეთო ხასიათი აქვს.

ამ ვარჯიშობათა შორის ბურთაობა, რასაკვირველია, ერთი უკეთესთაგანია, რადგანაც აქ, გარდა ღონისა, მოთამაშეს სჭირია სისწრაფე მუხლისა, ხელისა და თვალისა. ვისაც კარგი ბურთის თამაში უნახავს, სადაც ცხენოსნებიც ღებულობენ მონაწილეობას, იმან იცის, რომ ამგვარი ბურთის თამაში ნამდვილი ომია, სადაც კარგი მოფიქრებაც საჭიროა, რაზმების თავ-თავის დროზე მოშველებაც გამარჯვების მოსაპოვებლად.

დღეს სწორედ ამგვარი ბურთის თამაშია დანიშნული ვაგზლის ახლო, ნაძალადევის გაღმა გორაზე.

ასეთი განზრახვა ძველებურ დროს გავრცელებულ თამაშობათა აღსადგენად, უეჭველად ჩინებულია, და ვისურვებთ, რომ ამას სხვა ჩვენთა წინაპართა. სხვა მრავალი ვარჯიშობანიც მოჰყვეს: ყაბახი, ჯირითი, ნიშანში თოფის სროლა და სხვ.

ყოველივე ესე, გარდა იმისა, რომ აშორებს უქმ დღეზე ხალხს ლოთობასა და უაზრო-უკვლოდ ხეტიალს, შემთხვევასაც მისცემს თვითეულს გამოიჩინოს თავისი ძალ-ღონე, სიმარჯვე და ასეთი ფიზიკური ღირსებანი, რომელსაც ფასი არასოდეს არ დაეკარგება.

მაგრამ საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზრდა კაცობამ სხვათაშორის ამ საქმისათვისაც მოიცალონ, და საერთო თამაშობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ".

(„ივერია", 1894 წ. № 85. მეველე. ტფილისი, 24 აპრილი").

● „დ. ზუგდიდი. 6 ივნისი. სული წ-ს დღეს ჩვენში თარგამულობა იციან. ჩვეულებრივს ცხენის ჯირითობას ბოლო არა ჰქონდა.

ჩვენში ცხენის ჯირითობა ძლიერ გავრცელებულია და ამასთან ერთად ესრედ წოდებული „აფხუანი", რაც უფრო დრო მიდის, იმდენად ცხადდება მათ შორის სხვადასხვა მადნის ყაბარდულები მაგის მეტი რა აქვთ საქმე? არც ხვნენ, არა სთესენ, მუდამ ცხენზე სხედან და, რასაკვირველია, რამდენად ადამიანი მუყაითად მოექცევა რომელსამე საქმეს, იმდენად ხელოვნდება და ვარჯიშდება ამ საქმეში.

ამ ჯარში ერთის თაოსანის განკარგულებას ემორჩილებიან, ყველა მაყურებლები იმის ირგვლივ დაამწკრივებენ ცხენებს, ისე რომ შუა გულში დარჩეს 40–50 საჟენამდე. შემდეგ გამოიწვევენ ერთი მეორეს, მაგრამ პირველად ისინი, რომელთა ცხენებსაც ტოლი არა ყავს.

განსაკუთრებით წელს გაიმართა ჩვენში შესანიშნავი ჯირითი. არა მგონია, რომ მაგნაირი თვალსაქციელი და საყურადღებო ცხენის თამაში სადმე გამართულიყოს. ჯერ ისე გარბოდნენ თითოეულად შუაგულში ყაბარდულით, მერე კი ერთმანეთს შეეჯიბრნენ, მაგრამ იყო ისეთი ცხენებიც, რომლებიც ერთ საჟენზედ არა ნაკლებ იწევდნენ ზევით და მერე თავისუფლად ძირს ეშვებოდნენ, თუ გაწვრთნილი კაცი არ იყო, თავს ვერ დაიჭერდა და მიწას პირდაპირ ეცემოდა, მაგრამ ყველანი მცოდნენი და დახელოვნებულნი იყვნენ, ამნაირი ხიფათი იშვიათად მომხდარა.

თუმცა ამ ჯარალობაში უთვალავი ხალხი იყო: მეგრელებიცა, თავადებიცა, აზნაურებიცა, მტრიანიცა და უმტროცა, მაგრამ არაფერი უწესოება მომხდარა".

(„ივერია", 1894 წ. № 143).

● „ს. ასკანა (გურია), 4 აპრილი. აღდგომის პირველ დღეებში სასიამოვნო დარი იდგა, რის გამოც დიდძალი ხალხი შეიკრიბა და გაიმართა ძველებური გურული ბურთაობა, რომელიც რამდენიმე წელიწადია თითქმის გადავიწყებული იყო ჩვენს სოფელში. ბურთაობამ მშვიდობიანად ჩაიარა, გამარჯვება-კი უცოლოებს დარჩათ.

გურიაში ჩვეულებად აქვთ, ერთის მხრით ცოლიანები და მეორეს მხრით უცოლოები ბურთაობენ ხოლმე (რედაქციის შენიშვნა).

(„ივერია", 1895 წ. № 74).

● „ფოთიდან გვატყობინებენ, რომ იმ პირველ მაისს გურულებსა და მეგრელებს ჩვეულებრივი ბურთის თამაში გაუმართავთ, მაგრამ გურულებს ლელოსთან ბურთი გაუჭრიათ, რასაც დიდად შეუწუხებია კორესპონდენტი, რომელიც უთუოდ გურული უნდა იყოს.

ვანუგეშებ ამ ბურთის თამაშის მოყვარულ ბატონს: ბურთის თამაშის წესით, როდესაც ბურთი ვისმეს ლელოსთან გაიჭრება — ეს იმ ლელოს მომხრეს გამარჯვებას ნიშნავს, რადგანაც მხოლოდ გაჭირვებული მოწინააღმდეგენი გასჭრიან ბურთს ამ შემთხვევაში და არა ისინი, რომელთაც უნდა ბურთი საზღვარზედ მიიტანონ და უნდა გაიმარჯვონ".

(„ივერია", 1895 წ. № 94).

● „ფოთი: 1 მაისს ჩვეულებრივ ბურთაობა იყო გამართული ფოთში. ბურთაობას დიდძალი ხალხი ეტანებოდა მუდამ, მაგრამ რაც დღე მიდის, ძველებური დროს გატარება უფრო და უფრო სუსტდება; ჩვენში კი წლევანდელმა წელმა ყველაფერს თავისი ნიშანი დაასვა. სასურველი არ არის, რომ ეს ჩინებული თვალისა და გულისათვის სასიამოვნო ძველებური ჩვენთა მამა-პაპათა დროს გატარება გადავაგდოთ. ამგვარი საერთო თამაშობა, როგორც ბურთაობა და სხვა, გარდა იმისა, რომ ჩვენ ფიზიკურად გვავარჯიშებს, რომელსაც ევროპაში უპირველესი ადგილი უჭირავს, ეჭვი არ არის, მეტს ჯანმრთელობასა და სულის სიფხიზლესაც მოგვგვრის.

ბურთი გავარდა 4 საათზედ. ერთმა მუჭა გურულებმა მკვირცხლად შეუტიეს, მაგრამ მოგეხსენებათ „ძალა აღმართს ხნავსო", მეგრელებმა ბურთი ლელოზე მიიტანეს. მაინც ბოლოს გამარჯვება გურულებს დარჩათ".

(„ივერია", 1896 წ. № 97).

# სათუთად მოვეპყრათ ეროვნულ საუნჯეს!

ქართულმა ჭიდაობამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტზე, ფრანგ როჟე კულონზე, რომელიც სტუმრად იყო ჩვენში. სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატის დღეებში მან ჩვენი ფალავნების რამდენიმე საჩვენებელი გამოსვლა ნახა. საპატიო სტუმარი მოხიბლა ქართული ჭიდაობის მახვილგონივრულმა ილეთებმა, მისმა რაინდულმა ხასიათმა. ფალავნებმა ღონე და ხერხი არ დაიშურეს, რათა სტუმრისთვის ნამდვილი, ვაჟკაცური და ლამაზი ბრძოლა ეჩვენებინათ.

მაგრამ ბოლო ხანებში ქართული ჭიდაობა მუდამ მაღალ დონეზე როდი ტარდება. მოასპარეზეები ხშირად ლეიბის ნაპირას ჭიდაობენ. ეს, როგორც ჩანს, მათი „ტაქტიკური" ჩანაფიქრია: თუ ილეთი სრულფასოვანი არ გამოდგა, აგერაა ლეიბის კიდე და, მაშასადამე, სამშვიდობოც. დამეთანხმებით, რომ ამგვარი ტაქტიკა ჭიდაობის სანახაობრივ მხარის ხანგრძლივობას მინიმუმამდე ამცირებს. 5 წუთი ისედაც ცოტაა, ახლა დაუმატეთ ლეიბგარეთ გასვლა, ჩოხის გაუთავებელი სწორება და მოჭიდავეებს შერკინებისთვის ფაქტიურად ორიოდე წუთი რჩებათ.

ხშირია ასეთი სურათიც: მიიღო მოჭიდავემ ქულა და უმალ ღრმა დაცვაზე გადავიდა. იგი თვალს არ აშორებს საათს და მოუთმენლად ელის „რეგლამენტის" ამოწურვას. რა ფასი აქვს ისეთ გამარჯვებას, რაცა ფალავანი მუდმივ შიშშია და შეებას მხოლოდ 5 წუთის გავლის შემდეგ გრძნობს.

გადაჭრით ვამბობთ: ფალავანთა ასპარეზობაში რჩეული მოჭიდავეები უნდა გამოდიოდნენ, ისინი, ვისაც არ ეშინია წელგამართული ჭიდაობისა და ვისაც ძალუძს ქართული ჭიდაობის ეშხისა და ლაზათის ჩვენება.

ვფიქრობ, გულშემატკივართა საერთო სულისკვეთებას გამოვთქვამ, თუ ვიტყვი: ის ილეთები, რასაც მოჭიდავეები „სამშვიდობოზე" აკეთებენ, შუა ლეიბზე რომ შესრულდეს, მაყურებელი მუდამ ტექნიკური და ლამაზი ბრძოლის მოწმე იქნება. ხდება კი პირიქით და სწორედ ამიტომ, ექიმეში დამავებულთა მოვლას ვერ აუდიან.

კიდევ ერთი გულსატკენი ფაქტი, რომელიც ფალავანთა ყოველ შეჯიბრებას თან სდევს, საჭიდაო ჩოხების სიმცირეა. განა დასაშვებია, რომ საქართველოს პირველობის მონაწილენი ჩოხას ერთმანეთისგან ნათხოვრობდნენ? მოჭიდავე ხალიჩის კუთხეში მეტოქეს ელოდება, ელიან ფალავანს არბიტრი, მსაჯები, მაყურებლები, ის კი ხან ერთ მონაწილეს სთხოვს ჩოხას, ხან მეორეს.

ამბობენ, ჩოხა დიდი ხანია დეფიციტური საქონელი გახდაო. მე არ ვიცი, რამდენად სწორია ეს მტკიცება, მაგრამ ვიტყვი, რომ თანამედროვე ეპოქაში, როცა კოსმოსს სხვადასხვა ურთულესი მექანიზმი სერავს, ჩოხის დეფიციტურობაზე ლაპარაკი სარცხვილია.

ქართული ჭიდაობა—ჩვენი ერის სახელოვანი ტრადიციაა. მეტ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. ქართულმა ჭიდაობამ დიდი სპორტის გზა გაუხსნა ისეთ სახელმოხვეჭილ ოსტატებს, როგორიც არიან ა. მეკოკიშვილი, ვ. ბალავაძე, ა. კიკნაძე, მ. ცალქალამანიძე და ბევრი სხვ. და რაკი ეს ყველამ ვიცით, რატომ ვეპყრობით ასე გულგრილად, ზერელედ? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი რესპუბლიკის ფარგლებს არ სცილდება?

ეროვნული ჭიდაობა საუნჯეა, რომელსაც სათუთი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ბ. დარისპანაშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

# „სად გეძებო, სად გიპოვნო, მოყვარევ..."

## ანუ სპორტულ ლიტერატურას — თავისი ადგილი!

**ამ ბოლო ხანს ჩვენში საკმაო რაოდენობით გამოდის სპორტულ თემაზე დაწერილი წიგნები. ეს ძალიან სასიხარულოა. სპორტით გატაცებულია ახალგაზრდობა, სპორტი უყვართ ხანდაზმულებსაც, თავადაც ვარჯიშობენ და არც საინტერესო შეჯიბრებებს აკლდებიან. სპორტულ ლიტერატურას ყველა ინტერესით კითხულობს, მაგრამ...**

**წიგნის მაღაზიებში ხშირად გვაგვიგონია:**

**— სპორტული წიგნები თუ გაქვთ?**

**ნოქარი ძებნას იწყებს. მკითხველი კი დგას და უცდის იმის მაგიერ, რომ იქვე, თაროებზე ნახოს, რის ყიდვასაც აპირებს. რატომ? დედაქალაქის წიგნის მაღაზიებში (რაიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) იშვიათად შეხვდებით წარწერას — „ფიზკულტურა და სპორტი". ამ სახის ლიტერატურას განკუთვნილი ადგილი არა აქვს.**

**უნებლიედ გაგახსენდება ეთიმ გურჯის სიტყვები: „სად გეძებო, სად გიპოვნო, მოყვარევ..." ღმერთი კია, თბილისში მაინც იყოს სპორტული წიგნების სპეციალიზებული მაღაზია.**

**... მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე მაღაზია „სინათლეში" შევედი და ახალ გამოცემებს გადავავლე თვალი. სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. გვახარიას „ბურთი წყალზე", „საქართველოს არქიტექტურულ ძეგლებთან" და „შოთა რუსთაველთან", პოლიტიკურ და სხვა თემებზე დაწერილ წიგნებთან ერთად იდო...**

**წყალბურთი ქართველი ახალგაზრდობის საყვარელი სახეობაა. ეს, ალბათ, იმანაც განაპირობა, რომ რესპუბლიკის მოწინავე გუნდი — „დინამო" მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში, ქართველ წყალბურთელებს კი სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებ გუნდში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ. მაგრამ ჩვენში სპორტის ამ სახეობაზე ძალიან ცოტა რამ გამოსულა და ნ. გვახარიას წიგნი ერთგვარად ავსებს ამ ხარვეზს.**

**ავტორი წერს წყალბურთის წარმოშობის, სსრ კავშირში მისი განვითარების შესახებ, თამაშის ტაქტიკურ და ტექნიკურ ვარიანტებზე, ქართველი წყალბურთელების წარმატებებზე საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.**

**წიგნი, რომელიც „ნაკადულმა" გამოსცა, კარგად არის დასურათებული და სპორტის მოყვარული მკითხველების დიდ ინტერესს იწვევს.**

**გ. ხარებავა.**



# საკითხი გადაწყდება გვიან

ნოემბრის დამლევს სტამბოლში გაიმართა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ევროპის კომიტეტის მორიგი კონგრესი. მის მუშაობაში კონტინენტის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ (ალბანეთის, ჰიბრალტარის, მალტისა და ლიხტენშტაინის გარდა). სსრ კავშირის დელეგაციას წარმოადგენდნენ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარისა და იააფ-ის ტექნიკური კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლ. ხომენკოვი და ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი გ. კორობკოვი.

კონგრესმა იააფ-ის ევროპის კომიტეტის თავმჯდომარის პაულენის ხელმძღვანელობით განიხილა მთელი რიგი საკითხები, რომელთა განხორციელებაც კონტინენტზე „სპორტის დედოფლის" შემდგომ განვითარებას შეუწყობს ხელს.

დღის წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი გახლდათ ამერიკისა და ევროპის კონტინენტების მძლეოსანთა I მატჩისთვის სამზადისი. როგორც ცნობილია, ამ შეხვედრის თარიღად იააფ-მა 1967 წლის 9-10 აგვისტო დაადგინა, ასპარეზად კი — მონრეალი (კანადა). კონგრესის მონაწილენი გაეცნენ მატჩის დებულებას და შეადგინეს კომისია, რომელმაც ეროვნული ფედერაციების დახმარებით 15 ივლისამდე უნდა დააკომპლექტოს ევროპის ნაკრები. ნაკრების წევრებს შეარჩევენ ბუდაპეშტში გამართული ევროპული ჩემპიონატისა და გაისად საერთაშორისო შეხვედრების შედეგების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ტურნირს გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის" პრიზზე, რომელიც სოფიაში გაიმართება 3-4 ივნისს, ევროპის თასის ნახევარფინალურ შეხვედრებს, კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატს, რომელიც 11-12 მარტს პრაღაში ჩატარდება და უკვე ტრადიციად დამკვიდრებულ მემორიალებს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციამ კონგრესს აცნობა, რომ შესაძლებელია ჩვენმა სპორტსმენებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ ამერიკის მძლეოსნებთან მატჩში. ამან დიდი დავა გამოიწვია. საკითხი უფრო გვიან გადაწყდება.

კონგრესმა იმსჯელა ევროპის ჩემპიონატების თაობაზე როგორც ცნობილია, კონტინენტის მორიგი პირველობა 1969 წელს გაიმართება ათენში, შემდეგ კი ეს შეჯიბრებები სისტემატურად ჩატარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. 1971 წლის ჩემპიონატის მოწყობა და ხელმძღვანელობა ფინეთს დაევალა. კონგრესმა მოისმინა, აგრეთვე, კონტინენტის ზამთრის ჩემპიონატებისა და ახალგაზრდა მძლეოსანთა პირველობების ფორმულის საკითხები და დაამტკიცა სპორტულ ღონისძიებათა საგაისო კალენდარი.

აი, ისიც:

**15 იანვარი.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. ლენინგრადი, ტალინი.

**21.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. რიგა.

**25.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. კაუნასი.

**29.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. მოსკოვი.

**5 თებერვალი.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. პოტსდამი.

**26.** საერთაშორისო შეჯიბრება დახურულ შენობაში. ბერლინი.

**5 მარტი.** საერთაშორისო კროსი. ლაიპციგი.

**11-12.** ევროპის პირველობა დახურულ შენობაში. პრაღა.

**24.** სოციალისტური არმიების მძლეოსნური კროსი. პოტსდამი.

**26.** ბალკანეთის ქვეყნების კროსი. ათენი.

**9 აპრილი.** ოლიმპიური დღე და კლასიკური მარათონი. ათენი.

**7 მაისი.** საერთაშორისო მარათონი. კარლ-მარქს-შტადტი.

**7.** თავისუფლების დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრება. ზაგრები, ლიუბლიანა.

**13-14.** საბერძნეთ — ბულგარეთის მატჩი (ვაჟები). ათენი.

**25.** ბრუნო ზაულის მემორიალი. რომი.

**27-28.** სოციალისტური ქვეყნების დინამოელთა სპარტაკიადა. პოტსდამი.

**3-4 ივნისი.** საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის" პრიზზე. სოფია.

**4.** ბელგრადის ღია ჩემპიონატი.

**7-8.** მერიკამპის მემორიალი. პარიზი.

**10-11.** საერთაშორისო ტურნირი ათჭიდსა და ხუთჭიდში. ტარტუ.

**11.** საერთაშორისო ტურნირი. ზაგრები.

**13-14.** ათენის ღია ჩემპიონატი.

**18.** საერთაშორისო შეჯიბრება. პრაღა.

**24-25.** კუსოჩინსკის მემორიალი. ვარშავა.

**24-25.** ევროპის თასის გათამაშება. საკვალიფიკაციო შეჯიბრებები. ათენი, კოპენჰაგენი, დუბლინი.

**30.** როშიცკის მემორიალი. პრაღა.

**1-2 ივლისი.** პოლონეთ — სსრ კავშირის მატჩი. კატოვიცე.

**8-9.** ზნამენსკების მემორიალი. მოსკოვი.

**12-13.** საერთაშორისო შეჯიბრება. ათენი.

**16.** ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალები (ქალები). იტალია, ნორვეგია, გფრ.

**22-23.** ბულგარეთ — რუმინეთის მატჩი. სოფია.

**22-23.** ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალები (ვაჟები). გფრ, სტოკჰოლმი, ოსტრავა.

**9-10 აგვისტო.** ამერიკა — ევროპის მატჩი. მონრეალი.

**15 სექტემბერი.** ევროპის თასის გათამაშების ფინალი (ქალები). კიევი.

**16-17.** ევროპის თასის გათამაშების ფინალი (ვაჟები). კიევი.

**29-30 სექტემბერი — 1 ოქტომბერი.** ბალკანეთის 26-ე თამაშები. სტამბოლი.

**1 ოქტომბერი.** საერთაშორისო მარათონი. კოშიცე.

**4.** საერთაშორისო შეჯიბრება. ანკარა.

**19.** ბელგრადის გათავისუფლებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი.

**20-22.** თურქეთის ღია ჩემპიონატი. ანტალია.

**22-29.** საერთაშორისო შეჯიბრებები სპორტულ სიარულში, მათ შორის, 100 კილომეტრზეც. ლუგანო.

**ევროპის** კომიტეტის კონგრესმა კონტინენტის რეკორდებად დაამტკიცა: **ქალებისთვის:** 880 იარდზე რბენა — 2.04,2 (ა. სმითი, ინგლისი);

**ვაჟებისთვის** — 800 მეტრზე რბენა — 1.44,9 (კემპერი, გფრ); 880 იარდი—1.47,3 (კემპერი); 1500 მ— 3.46,4 და 3.46,3 (ჟაზი, საფრანგეთი); 5.000 მ — 13.24,8 (ნორპოტი, გფრ); 6 მილი — 27.23,8 (ინგლისელი ტეილორი და უნგრელი მეჩერი); 20.000 მ — 58.06,2 (რულანტსი, ბელგია), ერთსაათიანი რბენა — 20 კმ 664 მ (რულანტსი).

## ახალი ამბები

**ირანელის მსოფლიო რეკორდი**

✦

**კენიელ მძლეოსნებთან შეჯიბრებაში...**

● **ბანგკოკი**, 13 დეკემბერი. აქ მიმდინარეობს აზიის ქვეყნების თამაშები, სადაც შესანიშნავად გამოვიდა ირანელი ძალოსანი, 20 წლის მ. ნასირი (მჩატე წონა). მან აკრა 148,5 კგ და მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა, ამასთან, თამაშების ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

● **ადელაიდა** (ავსტრალია), 13 დეკემბერი. მძლეოსნური სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა აქ 3 კილომეტრზე წინაღობებით რბენაში ავსტრალიელმა კ. ო'ბრაიენმა — 8.29,0. ეს ქვეყნის ახალი რეკორდია, რომელიც მხოლოდ ბელგიელი გ. რულანტსის მსოფლიო რეკორდს და ვ. კუდინსკის საკავშირო რეკორდს ჩამორჩება. ამ შედეგს მორბენალმა კენიელ მძლეოსნებთან შეჯიბრებისას მიაღწია. სარბენ ბილიკზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს სახელგანთქმული რ. კლარკი და ახალგაზრდა კენიელი ნ. ტემუ. 3 კილომეტრზე რბენაში ავსტრალიელის შედეგია 7.54,8, კენიელისა კი — 8.02,9. 800 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა კენიელმა ვ. კიპრუგუტმა — 1.47,8.



ჩეხოსლოვაკიელი მხატვრული ტანმოვარჯიშის ი. ბეროვას ვარჯიში დიდი დახვეწილობითა და სინატიფით გამოირჩევა. ეს არცაა გასაკვირი: ი. ბეროვა ხომ სპორტში ბალეტიდან მოვიდა. იგი არც თუ წარუმატებლად გამოდიოდა თეატრში, მაგრამ სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა და მსახიობი მხატვრული ტანვარჯიშის დიდი მოტრფიალე და შემდეგ თვალსაჩინო ოსტატი გახდა. ამის ნათელი დადასტურებაა მსოფლიო ჩემპიონატში ამ ახალგაზრდა, ნიჭიერი ქალის მიერ დაკავებული IV ადგილი.

**სურათზე:** ი. ბეროვა ლენტით ვარჯიშისას.

## უკანასკნელ საათს!

◆ **ბეირუთი**, 14 დეკემბერი. დაშნით მოფარიკავეთა აქ გამართულ II საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა სსრ კავშირის ჩემპიონმა ა. სმოლიაკოვმა. ფინალში მან დაამარცხა მოსკოვში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი, ფრანგი კ. ბურკარი. მეორე საბჭოთა მოფარიკავე, მსოფლიო ჩემპიონი ა. ნიკანჩიკოვი, რომელმაც ლიბანის დედაქალაქში ჩატარებულ პირველ ტურნირში ყველა ჩამოიტოვა, ამჯერად მეოთხედფინალს ვერ გასცდა — წააგო ავსტრიელ რ. ტროსტთან.

◆ **პრაღა**, 14 დეკემბერი ავსტრალიის, ბრაზილიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელ ქალთა გუნდებმა წინასწარი თანხმობა განაცხადეს მონაწილეობა მიიღონ მსოფლიოს V ჩემპიონატში, რომელიც 1967 წლის 14-23 აპრილს გაიმართება ჩეხოსლოვაკიაში. ფინანსური სიძნელეები შეჯიბრებაში აშშ-ის ნაკრების მონაწილეობას პრობლემატურს ხდის. ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყდება 12 იანვარს, როცა ჯგუფების კენჭისყრა გაიმართება. ჯერჯერობით ცნობილია, რომ სამ ჯგუფს მეთაურობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის წარმომადგენლები. წინასწარი თამაშები ჩატარდება 15-17 აპრილს ბრნოს, გოტვალდოვისა და ბრატისლავის ზამთრის სტადიონებზე, ფინალური მატჩების სარბიელად კი პრაღა მოგვევლინება.

◆ **ნიუ-იორკი**, 14 დეკემბერი. მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — იუგოსლავიის კალათბურთელი ვაჟები მომავალი პირველობისთვის (მონტევიდეოს გაიმართება გაისად, მაისში) უკეთ მომზადების მიზნით ტურნეს ატარებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ძალიან დაძაბული იყო მათი შეხვედრა ქ. ალბანის (ჯორჯიას შტატი) კოლეჯის გუნდთან. პირველი ტაიმი იუგოსლავიელებმა მოიგეს (45:41), მაგრამ საბოლოოდ ისინი დამარცხდნენ — 84:86. მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე აღმოჩნდა იუგოსლავიის ნაკრების ვეტერანი, დაუღალავი კორაჩი (28 ქულა).

## საფეხბურთო ღიმილი

### ✦ როგორც ტაქსში

**ა**რგენტინელმა მწვრთნელმა პ. მარტინესმა თავის ფეხბურთელებს ფეხებზე მიამაგრა სპეციალური აღმრიცხველები, რომლებიც ზუსტად აღნუსხავენ რბენის კილომეტრაჟს. მალე მწვრთნელი სიხარულით დარწმუნდა, რომ მისი ფეხბურთელები უფრო გულმოდგინედ დარბიან და მეტს მოძრაობენ. ისინიც კი, ვინც ადრე ზარმაცად დასეირნობდა მინდორზე, ახლა ცდილობენ ირბინონ უფრო მეტი, ირბინონ უფრო სწრაფად.

თუ არა და, დაგსვამენ სათადარიგოთა სკამზე...

### ✦ კიდევ ერთი მახვილგონივრული მანევრი

**მ**ეორე არგენტინელმა მწვრთნელმა კი, როცა დარწმუნდა, რომ მისი მოთამაშეები ძალიან მოუნდომებლად ვარჯიშობენ და ხშირად ეკამათებიან მას, სხვა საშუალებას მიმართა. ყოველ საწვრთნელ მეცადინეობაზე იგი ბურთს აწებებდა თავის ფოტოსურათს.

ყველაფერი წამსვე შეიცვალა: ეტყობა, ბურთზე დარტყმა ფეხბურთელებს ახლა უკვე მეტ სიამოვნებას ანიჭებდა.

### ✦ დედა ყველაზე მთავარია...

**ე**რთ-ერთი ბელგიური კლუბის (იგი გამოდის V ლიგაში) წევრთა უმეტესობას ერთი ოჯახის წევრები წარმოადგენენ. მამა თავმჯდომარეა, ხოლო მისი 5 შვილი — მოთამაშე. მაგრამ ისინი თვითონ აღიარებენ: „დედაჩვენი ყველაზე მთავარია. მან ყველაფერი ჩვენზე უკეთ იცის".

დედა ხელმძღვანელობს საწვრთნელ ვარჯიშებს, აკომპლექტებს გუნდის შემადგენლობას, ხოლო მისი 6 ქალიშვილი თამაშობს ქალთა საფეხბურთო გუნდში.

# „პოლიტიკას" ტრადიციული

იუგოსლავიური გაზეთ „პოლიტიკას" რედაქციამ შეაჯამა თავისი ტრადიციული ანკეტის — „წლეულს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები" შედეგები.

გამოკითხვის მიხედვით, სეზონის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს მძლეოსანი ქალი ნიკოლიჩი, რომელმაც ევროპის პირველობაში ოქროს 2 მედალი მოიპოვა (მოზრდილთა და იუნიორთა შორის).

შემდეგი ადგილები მიეკუთვნათ: II. ცერარი (ტანვარჯიში), III. ხორვატი (ჭიდაობა), IV. ერსკის (კეგლი), V. იანკოვიჩი (წყალბურთი), VI. დანეის (კალათბურთი), VII. მარინგს (ჭიდაობა), VIII. მარტინოვიჩი (ჭიდაობა), IX. ცვეტკოვიჩი (კალათბურთი), X. ჩუბრაჩი (ველოსპორტი).

როგორც ვხედავთ, საუკეთესო ათეულში ვერც ერთი მოჭადრაკე და ფეხბურთელი ვერ მოხვდა.

საუკეთესო გუნდების ხუთეული ასეთია: 1. კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, 2. „პარტიზანის" ფეხბურთელთა გუნდი, 3. ოთხადგილიანი მესაჭიანი აკადემიური ნავის ეკიპაჟი, 4. „პარტიზანის" წყალბურთელთა გუნდი, 5. ნაკრები კეგლიში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


სპორტის სასახლე



19 - 20 - 21

დეკემბერი

ხელბურთი



ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი

მონაწილეობენ: უნგრეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 19 საათზე.


ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



უე 06156